

პროგრამის სახელწოდება: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ მოსულიშვილი
პროგრამის თანახელმძღვანელი: პროფესორი ლელა აფციაური
პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.
უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

სწავლების ენა: ქართული.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს და ორიენტირებულია ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის სფეროში მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი და მაღალი ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე.

პროგრამის მიზანია სტუდენტებში იმ თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბება და განვითარება, რომლებიც აუცილებელია ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის სფეროში ეფექტიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას თანამედროვე სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური და პრაქტიკული საქმიანობისათვის, რაც გულისხმობს დარგის ძირითადი თეორიების, კონცეფციებისა და პროფესიული პრაქტიკის საფუძვლიან დაუფლებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ფლობენ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ფართო ცოდნას, შეუძლიათ დარგის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება, მათი პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენება და მიღებული ცოდნის განხორციელება თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და დარგის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ფიზიკური ფუნქციების აღდგენისა და გაუმჯობესების თანამედროვე თეორიებს, პრინციპებსა და მეთოდებს, მათ შორის: დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისა და გაუმჯობესების მიდგომებს; ფიზიკური დატვირთვებისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მექანიზმებს; ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენას ადამიანის, მათ შორის სპორტსმენის, ორგანიზმზე; ტრავმების პრევენციისა და სპორტული დაზიანებების შემთხვევაში პირველადი დახმარების პრინციპებს; რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვისა და მართვის მეთოდებს; სპორტსმენთა რაციონალური კვების პრინციპებს; კინეზოკორექციული და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გამოყენების თანამედროვე მიდგომებს.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებში პროფესიული ეთიკის, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეფექტიანი პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებულ თანამშრომლობას სხვადასხვა პროფესიულ და სოციალურ ჯგუფთან. პროგრამა ასევე

ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კრიტიკული აზროვნების, თვითრეფლექსიისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს დარგის ძირითად თეორიებს, პრინციპებსა და თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის სფეროში არსებულ ზოგიერთ უახლეს ასპექტს.
- ამოიცნობს და განმარტავს დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისა და გაუმჯობესების თანამედროვე თეორიებსა და პრინციპებს;
- ასხვავებს ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი სისტემების ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და პათოფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. განმარტავს მეტაბოლიზმის ძირითად მექანიზმებს, ქსოვილოვანი სტრუქტურების ორგანიზაციასა და ფუნქციებს;
- აკავშირებს და განმარტავს ფიზიკურ დატვირთვებთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებს და აფასებს მათ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და ფუნქციურ მდგომარეობაზე;
- განსაზღვრავს გადაღლის მდგომარეობის დროს ორგანიზმში მიმდინარე ფუნქციურ ცვლილებებს და განმარტავს მათი აღდგენის ძირითად მექანიზმებსა და საშუალებებს;
- ამოიცნობს და აღწერს ტრავმატოლოგიის ძირითად დებულებებს, აფასებს ტრავმული მდგომარეობის ზოგად ნიშნებს და განმარტავს დაზიანებების შემთხვევაში პირველადი დახმარების პრინციპებს;
- აკავშირებს და აღწერს მოძრაობის კინემატიკურ მახასიათებლებს და მოძრაობათა ანალიზის თანამედროვე მეთოდებს;
- განმარტავს დოზინგის ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმსა და სპორტულ შედეგებზე და აღწერს მისი გამოვლენის (დეტექციის) ძირითად მიდგომებს;
- განასხვავებს და ახასიათებს ფიზიოთერაპიის ძირითად სახეებსა და მეთოდებს, ასევე განმარტავს ფიზიოთერაპიული პროცედურების დანიშვნის ჩვენებებსა და უკუჩვენებებს;
- აღწერს ჯანმრთელი და სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის მქონე ადამიანის კვების რეჟიმის პრინციპებს, განიხილავს რაციონალური და დაბალანსებული კვების საფუძვლებს და უსადაგებს შეფასების მეთოდებს;
- არჩევს მასაჟის ფორმებსა და სახეებს, განმარტავს მასაჟის გამოყენების მნიშვნელობას კუნთოვანი ტონუსის შენარჩუნება/ აღდგენაში და ახასიათებს მათი ფიზიოლოგიური ზემოქმედების მექანიზმებს;
- ახდენს სამკურნალო ვარჯიშების კლასიფიკაციას სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით და განაზოგადებს ფიზიკური ვარჯიშის კლინიკურ და ფიზიოლოგიურ მნიშვნელობას ადამიანის ორგანიზმისთვის;
- აფასებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას და განმარტავს ფიზიკური დატვირთვების გავლენას ფიზიკური თვისებებისა და ფუნქციური შესაძლებლობების განვითარებაზე.

2. უნარი

კურსდამთავრებული:

- განსაზღვრავს და გეგმავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდების გამოყენებას ფიზიკური ვარჯიშების სპეციფიკისა და სარეაბილიტაციო ვადების გათვალისწინებით და მართავს შესაბამის სარეაბილიტაციო პროცესს;
- შეიმუშავებს ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენის, განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების პროგრამებს და არჩევს ინდივიდუალურ და სპეციალიზებულ სარეაბილიტაციო ტაქტიკას სხვადასხვა დაავადებისა და ტრავმული დაზიანების შემთხვევაში;
- აფასებს პაციენტის ანამნეზს, კლინიკურ მონაცემებსა და ანალიზებს, ადგენს ტრავმული მდგომარეობის ზოგად მახასიათებლებს, არჩევს შესაბამის მართვის ტაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას;
- იყენებს ფიზიკური რეაბილიტაციის თანამედროვე საშუალებებსა და მეთოდებს სხვადასხვა სამედიცინო და ასაკობრივ ჯგუფში, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისათვის;
- შეიმუშავებს ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებაში დარღვევების მქონე პირთა ინდივიდუალურ სარეაბილიტაციო გეგმებს მათი ფუნქციური მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით;
- პრაქტიკაში ასრულებს საწვრთნო, აღმდგენ და ჰიგიენურ მასაჟს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად;
- აფასებს სხვადასხვა ასაკობრივი, გენდერული და სამედიცინო ჯგუფის წარმომადგენელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, უსადაგებს ჯანმრთელობის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს და გეგმავს სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროულ და უსაფრთხო გამოყენებას;
- აფასებს ანამნეზისა და კლინიკური მონაცემების საფუძველზე ტრავმულ მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.
- აანალიზებს და აფასებს კლინიკურ და ფუნქციურ მონაცემებს სტანდარტული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით რთული და გაუთვალისწინებელი პროფესიული პრობლემების გადასაჭრელად;
- აფასებს შედეგებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო და ეთიკურ ასპექტებს;
- გამოხატავს და ასაბუთებს საკუთარ პროფესიულ პოზიციას შესაბამისი არგუმენტაციის გამოყენებით.
- მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან, მათ შორის კომუნიკაციის სირთულეების მქონე პირებთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- კურსდამთავრებული აცნობიერებს უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას, შეუძლია საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და განხორციელება.
- უზრუნველყოფს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვასა და იღებს პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სტრუქტურა.

საბაკალავრო პროგრამა არის 4 წლიანი, შედგება რვა სემესტრისაგან. სწავლება ოთხი წლის განმავლობაში მოიცავს 240 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი.

აქედან:

ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები: 29 კრედიტი

საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები: 69 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები: 129 კრედიტი (მათ შორის პრაქტიკა სპეციალობაში-16 კრ.; საბაკალავრო ნაშრომი - 14 კრ.)

სავალდებულო თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები: 13 კრედიტი

1კრ=25საათი

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

ცოდნის შეფასების სისტემა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (**A**) ფრიადი – 91 –100ქულა;

ა.ბ) (**B**) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (**C**) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (**D**) დამაკმაყოფილებელი – 61-70ქულა;

ა.ე) (**E**) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX**) ვერ ჩააბარა– 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F**) ჩაიჭრა – 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

სემესტრული შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს - შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ კომპონენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1)70/30 ან (2) 60/40), რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება მოიცავს შემაჯამებელი შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებას ეთმობა მთლიანი შეფასების 60%, ხოლო დასკვნითს 40%. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ). ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1) 70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 30 ქულა, ხოლო (2) 60/40)- შემთხვევაში 20 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

დასკვნითი შეფასება სემესტრული შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი შეფასების გადაღების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია. თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო თუ სტუდენტის

ქულა ნაკლებია 41-ზე, სტუდენტს სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნით გამოცდაში გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSCE -ს** (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი** - მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 1 ქულით. სულ - 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **10 ქულა**.

2. **OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა)**- სტუდენტი საგანს აბარებს 5 აქტიურ საგამოცდო ოთახში, თითოეულ ოთახში დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წუთს, ერთ სადგურზე მაქსიმალური ქულის რაოდენობა - 4 ქულა, სულ 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **11 ქულა**.

ქულების რანჟირება:

4 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს ძალიან კარგად;

3 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს კარგად;

2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს დამაკმაყოფილებლად;

1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს შეცდომებით;

0 ქულა - პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSPE-ს** (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა), დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი**- მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 1 ქულით. სულ - 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **10 ქულა**.

2. **OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა)** - სტუდენტი საგანს აბარებს 5 აქტიურ საგამოცდო ოთახში, თითოეულ ოთახში დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წუთს, ერთ სადგურზე მაქსიმალური ქულის რაოდენობა - 4 ქულა, სულ 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **11 ქულა**.

ქულების რანჟირება:

4 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს ძალიან კარგად;

3 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს კარგად;

2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს საშუალოდ;

1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს შეცდომებით;

0 ქულა - პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს.

OSCE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში.

OSPE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სიმულაციურ კლინიკაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი აბარებს დასკვნითი შეფასების იმ კომპონენტს/კომპონენტებს, რომელშიც ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა);

- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (ტარდება მე-18 კვირას)- ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

• თემის სიახლე და აქტუალურობა - 20 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა)

- საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია -10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 30 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა (ტარდება მე-20 კვირას)- ფასდება 40 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წარმოდგენილი ნაშრომის აგებულება -10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)
- პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 10 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა)
- პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 2 ქულა)
- მსჯელობა, კითხვებზე, და შენიშვნებზე გაცემული პასუხი - 15 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 8 ქულა)

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში, საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დასაქმების სფერო

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო სფეროებია საჯარო და კერძო სექტორები, სპორტული ფედერაციები, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ფიტნეს კლუბები, ჯანდაცვის ნებისმიერი ობიექტები.